

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №329

2013 წლის 11 დეკემბერი

ქ. თბილისი

სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (2013 წლის 12 ივნისი, №729-III) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი ნაწილისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების თანდართული ჩამონათვალი.

მუხლი 2

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კვირაში არაუმეტეს 48-საათიანი სამუშაო დროის ხანგრძლივობა გავრცელდეს ამ დადგენილების დანართით დამტკიცებული დარგების იმ საწარმოებზე, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს (სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმო).

მუხლი 3

ამ დადგენილების მე-2 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში დასაქმებულ იმ პირზე, რომლის შრომითი პროცესი არ მოითხოვს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს და სამუშაო არ არის დაკავშირებული სამუშაო/საწარმოო პროცესის უწყვეტობასთან.

მუხლი 4

ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საწარმოების ან მე-3 მუხლით გათვალისწინებული დასაქმებულ(ებ)ის განსაზღვრისას მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საკითხს განიხილავს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ 52⁴ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და „სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №258 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალი

1. სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგებს მიეკუთვნება „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „სეკ 001-2004 “ეკონომიკური საქმიანობის სახეების” დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 22 დეკემბრის №1-1-/282 ბრძანებით განსაზღვრული ეროვნული ეკონომიკის შემდეგი დარგები:

ა) სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა;

ბ) თევზჭერა, მეთევზეობა;

გ) სამთომპოვებითი მრეწველობა;



- დ) ტექსტილისა და ტექსტილის ნაწარმის წარმოება;
- ე) ტყავის, ტყავის ნაწარმისა და ფეხსაცმლის წარმოება;
- ვ) ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა; საგამომცემლო საქმიანობა;
- ზ) კოჟის, ნავთობპროდუქტებისა და ბირთვული მასალების წარმოება;
- თ) ქიმიური წარმოება;
- ი) დანარჩენი არალითონური მინერალური ნაკეთობების წარმოება;
- კ) მეტალურგიული მრეწველობა და ლითონის მზა ნაწარმის წარმოება;
- ლ) ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება;
- მ) მშენებლობა;
- ნ) ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი;
- ო) სასტუმროები და რესტორნები;
- პ) ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა;
- ჟ) ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;
- რ) სახელმწიფო მმართველობის ის მიმართულებები, რომლებიც კლასიფიცირებულია შემდეგ ქვეკლასებში:
 - რ.ა) ქვეკლასი 75.11.3 - საგადასახადო სისტემის მართვა და ზედამხედველობა;
 - რ.ბ) ქვეკლასი 75.11.4 - საბაჟოს მართვა;
 - რ.გ) ქვეკლასი 75.12.0 - სოციალური პროგრამების მართვა;
 - რ.დ) ქვეკლასი 75.23.3 - სასჯელის სისრულეში მოყვანის სისტემის საქმიანობა;
 - რ.ე) ქვეკლასი 75.25.0 - საქმიანობა სამოქალაქო თავდაცვის დარგში;
 - რ.ვ) ქვეკლასი 75.30.0 - სავალდებულო სოციალური დაზღვევა;
- ს) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება;
- ტ) კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა.

2. სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგებს ასევე მიეკუთვნება:

- ა) ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაცია;
- ბ) საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული საქმიანობა, რომელიც უკავშირდება სასამართლოებში, სხვა სამართალდამცავ ორგანოებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებში ან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარის ან პროცესის მონაწილის ინტერესების წარმოდგენას;
- გ) გარემოს დაცვის დარგი, რომელიც მოიცავს:
 - გ.ა) ჰიდრომეტეოროლოგიას;
 - გ.ბ) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვას;
 - გ.გ) დაცული ტერიტორიების დაცვას;



გ.დ) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების (გარდა ნავთობისა და გაზისა) სარგებლობის სფეროში კონტროლის განხორციელებას;

დ) ზოგადი განათლება;

ე) პროფესიული განათლება.

